ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო

საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია

I. შესავალი

წინადმებარე საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის საფრთხეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის მიწოდების სწორი საშუალებებისა და გზების შერჩევას.

საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს (*შემდგომში - საბჭო)* წევრმა უწყებებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა.

საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია ეხმიანება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწნებულ აქტივობებს. საინფორმაციო სტრატეგიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები და საკითხები სწორი საშუალებებით იქნეს გაშუქებული და საზოგადოების კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის მიწოდებული.

საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია დამტკიცებულია საბჭოს მიერ.

II. ზოგადი მიმოხილვა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა საქართველოს მთავრობამ 2003 წლიდან დაიწყო, როდესაც აღნიშნული ქმედება სისხლისსამართლებრივ დანაშულად გამოცხადდა, განხორციელდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიკაცია და მათი შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაცია და ინსტიტუციონალურ დონეზე შეიქმნა სპეციალური უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმი.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო პროცესებში. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს პრევენციული ღონისძიებების გატარება. პრევენციის კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას. ამ მიზნით, აქტიური

თანამშრომლობა მიდინარეობს პარტნიორ ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ტრეფიკინგის ეფექტური პრევენციისთვის აუცილებელია, საზოგადოებას ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია. პრევენციასთან ერთად საინფორმაციო კამპანიისათვის ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, მომსახურებისა და თავშესაფრით სარგებლობის შეთავაზება, რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის საკითხები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საზოგადოების, როგორც საქართველოს მოქალაქეების, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალქეობის არმქონე პირების აღნიშნულ საკითხებზე სრული ინფორმირება. საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ტრეფიკინგთან დაკავშირებული პროგრამების შესახებ. სწორედ ამიტომ, საბჭომ შეიმუშავა წინამდებარე საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია, რომლითაც განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები და მათთვის ინფორმაციის სწორედ მიწოდების გზები.

III. კამპანიის საერთო მახასიათებლები

სამიზნე ჯგუფი

საინფორმაციო კამპანიის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები;
- მოქალაქეობის არმქონე პირები;
- უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები;
- საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა;
- იძულებით გადაადგილებული პირები და კონფლიქტით დაზარალებული პირები;
- სოციალურად დაუცველი პირები;
- ქალთა მოწყვლადი ჯგუფები, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები;
- არასრულწლოვნები, მათ შორის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;
- სტუდენტები;
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები;
- მედიის წარმომადგენლები

გეოგრაფიული დაფარვა

საინფორმაციო კამპანია მიმართულია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის ტრეფიკინგის საფრთხეების, მისგან თავის დაცვისა და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში სწორედ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა წარმოადგენს იმ მოწყვლად ჯგუფს, რომელთაც არ ან შეზღუდულად აქვთ წვდომა ინფორმაციაზე.

პირველ ეტაპზე, საინფორმაციო აქტივობები განხორციელდება იმ რეგიონებში, სადაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ასევე მიგრაციის საფრთხეები მეტად იჩენს თავს. ასეთი რეგიონებია - თბილისი, აჭარა, ქვემო ქართლი, კახეთი და სხვა. ეტაპობრივად საინფორმაციო კამპანია დაფარავს საქართველოს სხვა რეგიონებსაც. ადამიანით ვაჭრობის საფრთხეებზე და მისგან თავდაცვის

საშუალებების შესახებ საინფორმაციო კამპანია ასევე განხორციელდება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის ინფორმაციის მიწოდებით.

მეთოდები

კონცეფცია ითვალისწინებს საინფორმაციო კამპანიის რამდენიმე მიმართულებით განხორციელებას. კერძოდ, მოხდება აუდიტორიასთან პირისპირ შეხვედრები წინასწარ შერჩეულ სამიზნე ჯგუფებში (ასაკის, სქესის, საქმიანობის, სოციალური ფენის, ეთნიკურ-რელიგიური და რასის ჯგუფებისადმის კუთვნილების და ა.შ. გათვალისწინებით) თბილისსა და მუნიციპალიტეტებში (ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე), საინფორმაციო ბროშურების გავრცელება, ტრეფიკინგთან დაკავშირებული ვიდეო და რადიო რგოლების გაშვება, ასევე სატელევიზიო და ვიდეო გადაცემების მომზადება, ბეჭდვითი მდიის გამოყენება ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო ხასიათის მასალის გამოქვეყნებისათვის. დაგეგმილი აქტივობები განხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თვითმმართველობების წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში აქცენტი გაკეთდება ადამიანით ვაჭრობის საფრთხეების გაცნობიერებაზე, ტრეფიკინგისაგან თავის დაცვის საშუალებებისა და პრევენციული ღონისძიებების, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

დამატებით, საბჭო უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალების ერთიანი ბაზის შექმნას, რაც გულისხმობს, ტრეფიკინგის თემატიკაზე დამზადებული ვიდეო ან/და რადიო რგოლების, ბეჭდვითი საინფორმაციო ბუკლეტებისა და ფლაერების საბჭოს სამდივნოსათვის მიწოდებას. სამდივნო უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის თავმოყრას და სისტემატიზაციას.

<u>რესურსები</u>

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გამოყენებულ იქნება, როგორც უკვე არსებული, ისე ახლად შემუშავებული საინფორმაციო მასალები.

რადიო და ტელე-გადაცემების გაშუქებისათვის მაუწყებლის შერჩევა წარიმართება დაფარვის ზონების გათვალისწინებით, რათა მომზადებული გადაცემების ნახვის შესაძლებლობა ჰქონდეს მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო მასებს, მთელი საქართველოს მასშტაბით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინფორმაციის გავცელების პროცესში ადგილობრივი ტელევიზიების ჩართულობას.

დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შემუშავდება და გავრცელდება ბროშურა/გზამკვლევი საზღვარგარეთ მიმავალი პირებისათვის და საქართველოში შემოსული უცხოელებისთვის, რომელშიც აღწერილი იქნება ტრეფიკინგის საფრთხეები, მისგან თავის დაცვის

მეთოდები, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები და მითითებული იქნება შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია

სიანფორმაციო კამპანიის წარმოებაში ჩართული იქნება:

- ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებლი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი სახელმწიფო უწყებები;
- ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე ადგილობირივი და საერთაშორისო არასმთავრობო ორგანიზაციები.